საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020142937919321

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/8886 **29 / დეკემბერი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღარის („ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობა - დრენაჟი I), სოფ. ნაკიეთის („ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობა - დრენაჟი II) და სოფ. წედისის („ცხრათავას“ სათავე ნაგებობა - წყარო) მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (440 000 m^3/წელიწადში, 25 წლის ვადით, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის განცხადებას (ID_24651_52621, 22.07.2021 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

გეოსაინფორმაციო პაკეტის 2.4 პუნქტით გაწერილია დაშორება მნიშვნელოვან პუნქტსა და სალიცენზიო ობიექტს შორის. შესაბამისად, მანძილი „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობებსა (დრენაჟი I და დრენაჟი II) და ქალაქ ონს შორის შეადგენს ≈4 კილომეტრს, ხოლო „ცხრათავას“ სათავე ნაგებობასა და ქალაქ ონს შორის ≈11 კმ-ს.

ასევე, დრენაჟი I და დრენაჟი II არ წარმოადგენს წერტილოვან წყალასაღებს, შესაბამისად ისინი განთავსებულია ზღვის დონიდან 832-850 მეტრის ფარგლებში. ხოლო, წყარო მდებარეობს 1 075 მეტრზე.

რაც შეეხება სალიცენზიო ობიექტის სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე გადაფარვას, „ცხრათავას” სათავე ნაგებობა და „ჟიჟორეთის” სათავე ნაგებობა (დრენაჟი I) მდებარეობს ონის სატყეო უბანში.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის (ორი დრენაჟი და ერთი წყარო) ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

სალიცენზიო ობიექტი („ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობა - დრენაჟი I და დრენაჟი II) წარმოადგენს არსებულ ფუნქციურ სათავე ნაგებობებას, რომელზეც დამყარებულია რეჟიმი. შესაბამისად, წყლის ობიექტებსა და მდინარეზე ურთიერთზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 5 გვ. shape ფაილი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე